პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 აპრილი, კვირა, 1985 წ.
№ 81 (8892) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისში დასრულდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ახალგაზრდა კალათბურთელთა [illegible] ტჩი შორის და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. მაგრამ ქართველი კალათბურთელებისთვის ამ ტურნირს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. სულ მალე ეს გუნდი დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ქაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში. ამ და სხვა პრობლემებზე საუბარი ინტერვიუში, რომელსაც მე-2 გვერდზე გთავაზობთ.

# მეტი ფიქრი და ფანტაზია

„სერვისი" ფართო მნიშვნელობის სიტყვაა და ფაქტიურად უნივერსალურ მომსახურებას გულისხმობს. თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებები მისი პიროვნული კულტურისა და საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდის კვალობაზე შესამჩნევად ამაღლდა. აღარ იყიდება და მაღაზიების თაროებს ამაო ტვირთად აწევს უგემოვნოდ შეკერილი ტანსაცმელი, ასევე უგემოვნოდ შეფუთული პროდუქცია, მაყურებელი ხათოფეზე აღარ ეკარება უყურადღებოდ მიტოვებულ და მოუვლელ სტადიონებს... ერთი სიტყვით, დღევანდელი მუშტარი და მაყურებელი ის აღარ არის, რაც გუშინ იყო. უკვე საჭირო კი არა, აუცილებელიც არის ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში გავითვალისწინოთ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს ეხება. სხვაგვარად ჩვენს ყოფაში, ჩვენს ყოველდღიურობაში გაჩნდება სოციალური უკმარობის ელემენტი, გაჩნდება პროვინციალიზმის საფრთხე.

ავიღოთ სპორტი — ეს კომპლექსური დარგი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა, კერძოდ, სერვისი. ამ სერვისის თავისებური ნიმუშია რესპუბლიკის მთავარი სტადიონი, რომელიც, დაგვეთანხმებით, თითქმის არაფრით არ ჰგავს წინანდელს. ეს ეხება არა მარტო დიდებულ არქიტექტურულ ანსამბლს, არამედ თვით სტადიონის მორთულობა-გაფორმებასაც, ეფექტურ რეკლამასაც, ბევრ ისეთ დეტალსაც, რასაც მასპინძლისა და სტუმრის თვალი მოწონებით აღიქვამს. აღარას ვამბობთ იმ ზედმიწევნით გონივრულ, გააზრებულ და დროულ ეკონომიკურ ექსპერიმენტზე, რომელმაც მისი მონაწილე ყველა მხარე კმაყოფილი დატოვა. სხვა საკითხია, რომ სტადიონის ხელმძღვანელობის მიმართ გაზეთ „ლელოს" რედაქციას გარკვეული და, როგორც შემდეგ გამოირკვა, სავსებით სამართლიანი პრეტენზიები ჰქონდა ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ერთმანეთს სწორად გავუგეთ და შევთანხმდით, რომ საერთო საქმის ინტერესებისათვის ერთობლივად ვიმოქმედებდით. ისე კი, ვიმეორებთ, ჩვენი „დინამოს" სტადიონის გაფორმება და მასპინძლობის პრაქტიკა მისი კოლექტივისა და ხელმძღვანელობის დიდ მონდომებაზე, გამომგონებლობაზე, გნებავთ ფანტაზიაზე და, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე გემოვნებაზე მეტყველებს.

რატომ შევჩერდით საგანგებოდ რესპუბლიკის მთავარ სტადიონზე? იმიტომ, რომ იგი სხვა სტადიონებისა და ბაზებისთვისაც უნდა იქცეს იმის ნიმუშად, თუ როგორ უნდა მოვემსახუროთ მაყურებელს ანუ, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, მომხმარებელს, რადგან კაცი სტადიონზე მარტო შეჯიბრების სანახავად კი არა, აქტიური დასვენებისთვისაც მოდის. ამიტომ, ჩვენი წარმოდგენით, სერვისი უფრო მასშტაბური ცნებაა, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. ავიღოთ საფეხბურთო მატჩი. საიდან იწყება სერვისი? ჩვენი ღრმა რწმენით — ჯერ კიდევ სტადიონზე შესვლამდე, მის შორეულ მისადგომებთან. აქ ყიდულობს მაყურებელი თამაშის პროგრამას, რომლის ხარისხი და შინაარსი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის განწყობასა და დამოკიდებულებას სპორტული სანახაობისადმი (ამ მხრივ, უნდა ითქვას, გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა: საფეხბურთო პროგრამა ბოლო დროს წინანდელზე ბევრად უკეთესია). პროგრამამომარჯვებული მაყურებელი უახლოვდება შესასვლელს. აქ უკვე წესრიგის დამცველთა და მომსახურე პერსონალის კულტურაზეა ძირითადად დამოკიდებული, რომ ეს „ბარიერი" მაყურებელმა სასიამოვნო განწყობილებით განვლოს და შეუფერებელი მასპინძლობა გულში ხინჯად არ ჩარჩეს. შევედით სტადიონზე: აქ უკვე ჩვენი განწყობის „რეგულირებას" ახდენს სავაჭრო ქსელი: მისი სერვისის დონე, კეთილგანწყობა, პროდუქტისა თუ გამაგრილებელი სასმელების ხარისხი (რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გვაკმაყოფილებს). ისიც სათქმელია, რომ სხვადასხვა ხილის წვენს მშვენიერი რეკლამა უკეთდება სტადიონის ტერიტორიაზე, მაგრამ... თვით წვენი ნაკლებად არის.

არც ტრიბუნებზე უნდა დაგვივიწყონ სტადიონის პერსონალმა და მუშაკებმა, ვისზეც დიდად არის დამოკიდებული, როგორ მოგვემსახურებიან, რა მუსიკას შემოგვთავაზებენ შეჯიბრების შუალედებში, პროლოგისა და ეპილოგის დროს. ინფორმაცია და მუსიკა, მოგეხსენებათ, მარტო გართობას არ ისახავს მიზნად. ამასაც ყურადღების მიქცევა სჭირდება, რათა გააზრებული პროგრამით სასურველი სულისკვეთება შევქმნათ სტადიონის ტრიბუნებზე. რაღა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვით მაყურებლის კულტურას და თავდაჭერას, ზრდილობას, შეგნებას: რაოდენ ორგანიზებულიც უნდა იყოს სტადიონზე მიღება-მასპინძლობა, მაყურებლის თავშეკავებისა და აქტიური თანადგომის გარეშე ყველაფერი წყალში გადაგვეყრება. სტადიონი პირველ ყოვლისა მაყურებლისთვის არის განკუთვნილი და სწორედ მაყურებელია პასუხისმგებელი სტადონზე სანიმუშო წესრიგისა და სასიამოვნო განწყობისათვის.

სერვისი მრავლისმომცველი მცნებაა, რომელშიც გაერთიანებულია ობიექტური და სუბიექტური მომსახურების სხვადასხვა ფორმა და საშუალება. იგი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ისეთი თვალსაჩინო მოვლენის წინ, როგორიცაა ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც ცნობილია, ეს ჩემპიონატი ამ ზაფხულს ტარდება საბჭოთა კავშირში და ერთ-ერთი შესარჩევი ჯგუფის მასპინძლად თბილისია გამოცხადებული. ჩვენს განთქმულ სტუმართმოყვარეობასა და მასპინძლობას ახალი და, უნდა ითქვას, მეტად სერიოზული გამოცდა ელის, თანაც საერთაშორისო მასშტაბით. ახლა „სტაჟიან" და „უსტაჟო" სპორტის მოყვარულებს ვთხოვთ ძალიან არ გაიოცონ: საქართველოში არასოდეს არ ჩატარებულა არც ევროპის, არც მსოფლიო ჩემპიონატი — არც ერთ სახეობაში. ვფიქრობთ, ნათელია, რაოდენ რთული, საპასუხისმგებლო და, ამავე დროს, საპატიო ამოცანის წინაშე ვდგავართ. არ ჩაგვიტარებია? — ჩავატარებთ! საქართველომ იცის, როგორ უმასპინძლოს სტუმარს, როგორ მოაწყოს დიდი მასშტაბის შეჯიბრება, რა გააკეთოს იმისათვის, რომ უცხო კაცი კმაყოფილი დარჩეს და სრული წარმოდგენა შეექმნას ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე. მაგრამ ჩემპიონატის წინ, ამოცანის მასშტაბის კვალობაზე, ალბათ მეტი ფიქრი და ფანტაზია დაგვჭირდება, რათა ჩვენი სერვისი საერთაშორისო სტანდარტებს გავუტოლოთ, ხოლო თუ შესაძლებელია, გადავაჭარბოთ კიდეც ამ სტანდარტებს.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყო. ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტი ამთავითვე შეუდგა ზრუნვას მისი სანიმუშო ჩატარებისთვის. ამ მზადების შესახებ მკითხველი ჩვენი გაზეთის საშუალებით შეიტყობს.

...და მაინც, ნუ დაგვავიწყდება: სანიმუშო სერვისი სპორტული სანახაობის, სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

## ბალავერი



ჭიდაობის ეს სახეობა ერთ დროს უჩვეულო სახელწოდებით, ფორმითა და წესებით ხიბლავდა ქართველ ბიჭუნებს.

სოკოებივით მრავლდებოდა კლუბები, სექციები, მრავლდებოდა და მაშინვე ივსებოდა. მწვრთნელები ვერ აუდიოდნენ ძიუდოში ვარჯიშის სურვილით ატანილ ბიჭებს.

დრო გავიდა. თვალი ნელ-ნელა შევჩვია კიმონოსაც, ტატამსაც, ახლა ჭიდაობის წესებშიც საკმაოდ კარგად ვერკვევით. შევეჩვიეთ გამარჯვებებსაც, არა ერთმა და ორმა ქართველმა ძიუდოისტმა ისახელა თავი ოლიმპიურ ასპარეზზე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. ერთი სიტყვით, საბოლოოდ მოვიშინაურეთ ჭიდაობის ეს ლამაზი და საინტერესო სახეობა, მაგრამ მაინც დარჩა ძიუდოს ის ძველებური, რომანტიკული აღქმა. ისევ ეტანებიან ბიჭუნები ძიუდოს დარბაზებს, ისევ ვერ აუდიან მწვრთნელები პატარა მთხოვნელებს...

დღეს მკითხველს ვთავაზობთ მცირე ფოტორეპორტაჟს ბავშვთა და მოზარდთა ერთ-ერთი ასეთი სპორტული სკოლიდან, რომელიც 1981 წელს გაიხსნა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან. სკოლა მუშაობს ექსპერიმენტული პროგრამით. პროგრამა ინსტიტუტშივე, ჭიდაობის კათედრაზეა შედგენილი.

სკოლის ყველა მწვრთნელი ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის ლექტორია.

**სურათებზე:** ვარჯიშს ატარებს სპორტის ოსტატი ვაჟა ბალხამიშვილი; ტატამზე არიან მომავალი ჩემპიონები.

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.
(საქ. ხუ[illegible]).







ორიენტირი — ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშები

**დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ახალგაზრდა კალათბურთელთა შორის. როგორც ვიუწყებოდით, თბილისის დინამოელებმა ხუთივე შეხვედრა მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენ წარმატება მივულოცეთ გუნდის მწვრთნელს ვაჟა მხეიძეს და ვთხოვეთ რამდენიმე შეკითხვაზე გაეცა პასუხი.**

# ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ

**● როგორც ადრე თქვით, ეს ტურნირი ჭაბუკთა თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია...**

— თბილისის ტურნირზე შეძენილი გამოცდილება, ეჭვი არ მეპარება, დიდად გამოგვადგება მომავალში. ამ მატჩებში ნათლად გამოჩნდა ჩვენი შესაძლებლობანი, დავინახეთ ნაკლი. ბევრი მუშაობა დაგვჭირდება ფიზიკური მომზადების გასაუმჯობესებლად. საჭიროა ტექნიკის დახვეწა, რათა აღარ განმეორდეს ელემენტარული შეცდომები, რაც თბილისის ტურში არცთუ ცოტა იყო. ზედმეტი თავდაჯერებულობაც უსარგებლო ტვირთად დაგვაწვება ახალგაზრდულ თამაშებზე. ფრუნზეს გუნდთან ბიჭებმა პირველ ტაიმში 23-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და საქმე მოთავებულად ჩათვალეს. ჩვენი დღევანდელი მეტოქე კი ყირგიზეთის ნაკრების სახელით გამოვა ჭაბუკთა თამაშებზე. იქ შესაძლოა ასეთი მოდუნება აღარ გვაპატიონ. ამ ბიჭებს, როგორც მწვრთნელი, პირველად მოსწავლეთა სპარტაკიადის შემდეგ შევხვდი. თავიდან მალე იღლებოდნენ, ზოგიერთს ეზარებოდა კიდეც ვარჯიში. დღეს საშჯერად ვარჯიშებს ვატარებ და მიხარია, რომ თანამოაზრეთა კოლექტივი შეიკრა, რომ ბიჭები დიდი სერიოზულობითა და მონდომებით ეკიდებიან საქმეს. ყოველნაირად ცდილობენ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი. ჩემი, როგორც მწვრთნელის უპირველესი ამოცანა ის არის, რომ თანაგუნდელები თანამოაზრ-

თბილისში გამოსული ყველა მოთამაშე ბრძოლის ჟინით იყო ავსავსე. ამ ტურნირისა და ჭაბუკთა თამაშების საბოლოო მიზანი ალბათ მაინც ის არის, რომ შევსება მიეცეს რესპუბლიკის მთავარ გუნდს.

რა თქმა უნდა, სწორედ ამიტომ მომანდეს გუნდის მომზადება. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, როგორც თბილისის „დინამოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ვიცი, როგორი კალათბურთელები გვჭირდება უმაღლეს ლიგაში. მოხარული ვიქნები, თუ ამ შემადგენლობიდან რამდენიმე მოთამაშე მოხვდება ჩვენს მთავარ გუნდში. დიდ იმედებს იძლევიან ალექსანდრე ფერიაშვილი და ლაშა ძიძავა. ისინი გამოსულან კიდეც საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში „დინამოს" შემადგენლობაში. ასევე პერსპექტიული მოთამაშეა ზაზა კობახიძეც. მაგრამ ამ კალათბურთელებს ბევრი შრომა სჭირდებათ, რომ ჩვენი იმედები გაამართლონ. საერთოდ, ჩვენი დღევანდელი ნაკრების ყველა მოთამაშეს შეუძლია თავისი სიტყვა თქვას ქართულ კალათბურთში. თუ რამდენად ხმამაღლა იქნება ნათქვამი ეს სიტყვა, მთლიანად მათს მონდომებაზეა დამოკიდებული.

**თბილისში გამართული ტურნირის ყველა მატჩს ესწრებოდა ახლო წარსულში „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე და კაპიტანი გივი ბიჭიაშვილი. რა თქმა უნდა, ამით ვისარგებლეთ და ორიოდე შეკითხვით მივმართეთ მას**



ეებად დარჩნენ და სარგებლობა მოუტანონ ქართულ კალათბურთს, თორემ რომელიმე რიგითი ტურნირის მოგება ყველა გუნდს შეუძლია.

**● რას მოელით ჭაბუკთა თამაშებისგან?**

— იქ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს და ძნელი ბრძოლები მოგვიწევს. მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგების მიხედვით ჩვენ აუტსაიდერებს მივეკუთვნებით, მაგრამ ამ მდგომარეობასთან შერიგებას არ ვაპირებთ, მით უმეტეს, დღევანდელი გუნდით. საბოლოოდ რა შედეგს მივაღწევთ, ამაზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთში მერწმუნეთ: ჩვენ ყველა მატჩში მოგებისთვის ვიბრძოლებთ. დღეისთვის საკმაოდ კარგი რეზერვი გვყავს. არც ერთ მოთამაშეს დაჯავშნილი არა აქვს ადგილი, ნაკრებში მოხვდებიან მხოლოდ უძლიერესნი, ვინც შეძლებს წარმატებით გაართვას თავი ყველა სიძნელეს და არ შეგვარცხვინოს ჭაბუკთა თამაშებზე.

**● თქვენ აქტიურ სპორტს ჩამოშორდით, მაგრამ კალათბურთი სამუდამოდ არ მიგიტოვებიათ.**

— „დინამოს" სპორტული სკოლის დირექტორად დამნიშნეს. წლების განმავლობაში თუ კი რამ მისწავლია, ყველანაირად უნდა ვეცადო, რომ ახალ თაობას გადავცე. დღეს თუ ვინმეა ქართული კალათბურთით დაინტერესებული, ერთ-ერთი მეც ვარ და სხვაგვარად მოქცევის უფლება არც მაქვს.

**● ტრიბუნაზე თქვენს გვერდით ტანმაღალი ბიჭები იხხდნენ, რომლებსაც ყოველ შესვენებაზე ესაუბრებოდით.**

— ჩვენი სკოლის აღსაზრდელები არიან, ჩვენს ბიჭებს ქომაგობდნენ და, რაღა თქმა უნდა, გახარებულნიც დარჩნენ მათი წარმატებით. მართლაც კარგი თაობა მოვიდა კალათბურთში. მე მჯერა, რომ სულ მალე ისინი დიდ სარბიელზეც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

**თამაზ ყალაბეგაშვილი.**

გამოხმაურება წერილზე „საძილე მასივები"

# მობურთალსა — მოედანი

**ჩვენი** მომავლისთვის მეტად მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო პრობლემას მიეძღვნა „ლელოს" 9 აპრილის ნომერში დასტამბული წერილი „საძილე მასივები". მართლაცდა, როგორ არ შეგვაშფოთოს ისეთი მასივების მომრავლებამ, სადაც არავითარი „საძრაობა" არაა. ამიტომაა, ჩვენი ბავშვები ტელევიზორებთან, ბოლო ხანებში კი ვიდეომაგნიტოფონებთანაც რომ ატარებენ თავისუფალ დროს, სამწუხაროდ — ზოგჯერ არათავისუფალსაც.

...ძნელია დილმის მასივი კაცმა „საძილე მასივად" ჩათვალოს — აქა-იქ არის სპორტული მოედნები, არის მშვენიერი ტყე-პარკიც, სადაც მკლავისა და მუხლის გაშლა შეუძლიათ დილმელებს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯანმრთელობის ასეთი „ოაზისები" არ კმარა, რადგან ისინი ვერ შეცვლიან ე. წ. „სტადიონებს ფანჯრებქვეშ". რატომ? მშობლები ერიდებიან ბავშვების სათამაშოდ გაშვებას „სადღაც შორს", თუნდაც ეს „შორს" მეზობელი კორპუსი იყოს. მათ კარგად იციან, რომ „ქუჩა სავსეა მოულოდნელობებით". სამწუხაროდ, სპორტულ მოედნებზე ავტომანქანებს უფრო ხშირად ვხედავთ, ვიდრე ბავშვებს.

დიდი მიხვედრილობა არ არის საჭირო იმის დასადგენად, რომ „საკუთარი მოედანი", თუნდაც მინიატურული, უფრო გამოგვადგება, ვიდრე ე. წ. „საკორპუსთაშორისო სტადიონები" (მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი ცალკე პრობლემაა და ამჯერად არ შევეხებით).

დიახ, „საკუთარი მოედანი", ე. წ. „სტადიონი ფანჯრებქვეშ", ვფიქრობთ, მასივებს სალათას ძილს გამოსტაცებს.

...1979 წელს მეხიკოში გახლდით. ამ ქალაქის ერთ-ერთი ახალი მასივის მკვიდრთან სტუმრობისას დავათვალიერე 22-სართულიანი საკმაოდ დიდი კორპუსის „სპორტულ-კულტურული" ცენტრი, რომელიც პირველ სართულზე მოეწყოთ. ეს იყო ამ კორპუსის ბავშვთა საკრებულო — გართობის, დასვენების, ფიზიკური ვარჯიშისათვის განკუთვნილი ადგილი. იმ საღამოს მეხიკოს უნივერსიადაზე საბჭოთა კავშირიდან ჩასული ჟურნალისტებისთვის ბავშვებმა იმპროვიზებული კარნავალი გამართეს, გვიჩვენეს სხვადასხვა მოძრავი თამაშებიც. მასპინძლებმა გვითხრეს, რომ ბავშვების ამ „მოძრაობას" რამდენიმე ენთუზიასტი მშობელი ხელმძღვანელობდა.

17-მილიონიან ქალაქ მეხიკოში საცხოვრებელი ადგილის პრობლემა ალბათ ათჯერ უფრო მწვავედ დგას, ვიდრე თბილისში. ამიტომაა მრავლისმთქმელი ეს ეპიზოდი ჩვენთვის.

ბავშვებიც. [illegible] ასე ერთი გასროლით „ორი კურდღლის" მოკვლა ზედმეტ ფუფუნებად მოეჩვენათ და VIII კორპუსის მკვიდრნი უარით გამოისტუმრეს. ამის შესახებ პრესაშიც დაიწერა, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, მეზობელი კორპუსის მობინადრეებმა ასეთი გარაჟების აშენების ნებართვაც მიიღეს და გარაჟებს ზემოთ კოხტა სპორტული მოედანიც მოაწყვეს.

ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი გამო-

ყოფს სპეციალურ კომისიას, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს და ყოველგვარი ბიუროკრატული გართულებების გარეშე, ოპერატიულად გასცემს ნებართვას „სპორტულმოედნებიანი კოლექტიური გარაჟების" ასაშენებლად.

ჩვენი აზრით, არსებობს გამოსავალი: შეგვიძლია კორპუსების პირველ სართულზე მოვაწყოთ სპორტული და კულტურული ცენტრები, გარაჟების მეორე სართულზე კი ეზოების სპორტული მოედნები „გავაშენოთ", როგორც ამას „ლელოში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი გვთავაზობს.

ამასთან დაკავშირებით გვსურს მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული მაგალითი: თბილისის სახალხო დეპუტატთა ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის შესაბამის სამსახურს ამ 4-5 წლის წინათ თხოვნით მიმართეს დოლიძის ქუჩის VIII კორპუსის მობინადრეებმა. მათ სურდათ გაეკეთებინათ კედელში შეჭრილი გარაჟები, გარაჟებს ზემოთ კი სპორტული მოედანი მოეწყოთ. წარადგინეს პროექტიც, რომლის მიხედვით ნებართვის გაცემის შემთხვევაში არავინ არ დაზარალდებოდა, მოგებით კი ყველა მოიგებდა — ავტომანქანათა მფლობელებიც და, რაც მთავარია,

ოპერატიულად გადაწყვეტას მოითხოვს კორპუსების პირველი სართულების სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიზნით დატვირთვის საკითხი. სასურველია შემუშავდეს პირველი სართულებისთვის განკუთვნილი ფიზკულტურულ-სპორტული დარბაზების (ოთახების) ტიპობრივი პროექტები, რომელთა მიხედვითაც თუნდაც მობინადრეთა ერთობლივი სახსრებით მოეწყობოდა სპორტული კერები.

დიახ, ეს ე. წ. „საძილე მასივები" უნდა გავაცოცხლოთ და ავამოძრაოთ. ამისთვის საჭიროა ყველა ჩვენგანის პირადი ინიციატივა და დაინტერესება.

**ანზორ ბარქაია.**

მიმდინარეობს ერთთვიური

# როგორ ვეგებებით სპორტულ სეზონს?

**ახალი სპორტული სეზონისთვის სამზადისი, უწინარეს ყოვლისა, სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, სპორტული ჯგუფებისთვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთათვის აქტიური დასვენების ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებს. კარგად მოვლილი, განახლებულ-გალამაზებული მოედნები და დარბაზები ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრივად გაშლის აუცილებელი პირობაა. ამიტომ არის, რომ ყოველი წლის გაზაფხულზე ეწყობა ახალი სეზონისთვის სპორტული ბაზების მომზადების ერთთვიური.**

**ახლახანს ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები თეთრ წყაროსა და მარნეულს ესტუმრნენ. გვაინტერესებდა, როგორ ეგებებიან სეზონს ადგილობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები.**

**თავიდანვე** ვტყვით: თეთრ წყაროში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებისთვის ხელსაყრელი მატერიალური პირობები ჯერჯერობით არა აქვთ. მთავარი სპორტული ბაზა რაიონულ ცენტრში მოწყობილი საფეხბურთო სტადიონია. აქ ახლა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ტრიბუნებზე თითქმის სანახევროდ გამოცვლილია სკამები, დასუფთავებულია ტერიტორია. როგორც რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ყურაშვილმა გვითხრა, მალე სტადიონზე მძლეოსნური სექტორი (400-მეტრიანი სარბენი ბილიკები, სახტომი და სატყორცნი სექტორები) მოეწყობა. გასახდელებში დამონტაჟდება საშხაპეები, დაიდგმება მექანიკური ტაბლო, იქვე გაიხსნება სპორტული ინვენტარის გაქირავების პუნქტი. გათვალისწინებულია აგრეთვე საცურაო აუზის მშენებლობა. კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყობა ჩოგბურთის ორი კორტი, ფრენბურთის მოედანი. ერთი სიტყვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისთვის ბევრი რამ არის დაგეგმილი, მაგრამ მთავარია ეს ჩანაფიქრი დროულად განხორციელდეს.

რაიონის თითქმის ყველა სოფელში აქვთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, მაგრამ უმრავლესობა მოუვლელია. ვნახეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპო-

ბაზაც -ვნახეთ, ბაზიერნიც...

რტული ბაზებიც. აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ჩაუტარებიათ კეთილმოწყობის სამუშაოები. განსაკუთრებით კარგი ბაზა აქვთ პირველ და მეორე საშუალო სკოლებს. აქ არის ფეხბურთის, კალათბურთის (ორი), ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი, ორი საშუალო ზომის სპორტული დარბაზი. ამ ბაზაზე ვარჯიშობენ რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები.

მარნეულის ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონზე არ იგრძნობა, რომ სეზონი დაიწყო. გვითხრეს, მალე მთლიან რეკონსტრუქციას ვიწყებთ და ამიტომ ხელი არაფრისთვის გვიხლიაო. ცხადია, დავინტერესდით, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებენ. როგორც პროექტიდან ჩანს, აქ მოეწყობა თანამედროვე სპორტული კომპლექსი: დრენაჟიანი საფეხბურთო მინდორი, მძლეოსნური სექტორი, ტრიბუნა 15 ათასი მაყურებლისთვის, სამი სპორტული დარბაზი. იქვე სტადიონთან ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას უკვე დაუწყია სპორტული დარბაზის მშენებლობა, ქალაქის აღმასკომის გადაწყვეტილებით ბაზრის ტერიტორია სტადიონისთვის შემოუერთებიათ. იქ გათვალისწინებულია ღია საცურაო აუზის აგება.

მოკლედ, ახლო მომავალში მარნეულელებს კარგი სპორტული კომპლექსი ექნებათ. ეტყობა, სპორტკომიტეტის მესვეურთა მთავარი საზრუნავი ახლა სტადიონის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაა, ქალაქის დანარჩენი სპორტული ბაზები კი, შეიძლება ითქვას, უპატრონოდ არის მიტოვებული. არც აქამდე, არც ერთთვიურის დღეებში არავის გახსენებია, რომ ამ ბაზებს მომზადება, წესრიგში მოყვანა უნდა.

**„ლელოს" ბრიგადა.**

# იუბილარები... იუბილარებს მასპინძლობენ

გაიხად 250 წელი უსრულდება მეფოლადეთა და ტრაქტორმშენებელთა ქალაქ ჩელიაბინსკს. ახლახან მილიონიან ქალაქს შეემატა ახალი 14-სართულიანი სასტუმრო „მალახიტი", ლამაზად რომ წამომართულა ქალაქის ცენტრში, წყალუხვი მდინარე მიასის პირას. სწორედ ამ სასტუმროში ცხოვრობენ ხელბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა XXIV საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი. აქედან ორ ნაბიჯზეა ჩელიაბინსკის სიამაყე, 3500-ადგილიანი სპორტის სასახლე „იუნოსტი" — ხელბურთელთა ჩემპიონატის მორიგი, მეოთხე ტურის სარბიელი. საბჭოთა ხელბურთი წელულს 75 წლის თავს ზეიმობს, ასე რომ, იუბილარები მასპინძლობენ იუბილარებს.

„იუნოსტის" თაღებქვეშ შეკრებილი თორმეტი გუნდიდან სამი ამჯერა აუტსაიდერია. სამწუხაროდ, მათ შორისაა თბილისის „ბურევესტნიკიც", რომელიც მთლიანად სპი-ს მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. სტუდენტმა ხელბურთელებმა წინა სამ ტურში ჩატარებული თექვსმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგეს (ბურთების სხვაობა 357-444) და ოთხი ქულით უკანასკნელ ადგილზე არიან. შეძლებს თუ არა ჩვენი გუნდი გაჭიანურებული კრიზისის დაძლევას, უწინარეს ყოვლისა კი თავისი უშუალო მეტოქეების — ლვოვის ასკ-სა და ლენინგრადის „ნევას" დამარცხებას?

გუშინ ჩვენმა გუნდმა ტურის პირველი მატჩი ჩაატარა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდთან. ეს გუნდი 22 ქულით მესამე-ადგილზეა.

მეტოქის ძლიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ ზაპოროჟიელთა გუნდის ხუთი წევრი — მეკარეები შიპენკო და ჟუკოვი, წინა ხაზის მოთამაშეები კუშნირიუკი, სოკოლი და ანტონევიჩი ქვეყნის ნაკრების წევრები არიან. სწორედ ანტონევიჩს დაავალა მწვრთნელმა ვ. ცაპენკომ ჩვენი გუნდის ყველაზე სახიფათო მოთამაშის მეურვეობა და ახალგაზრდა ტანმორჩილმა ხელბურთელმაც (სიმაღლე 178 სმ) გასაქანი არ მისცა ანპილოგოვს (206 სმ). ამიტომ იყო, ჩვენმა მთავარმა ბომბარდირმა ამ დღეს ძველებური „მრისხანება" რომ ვერ გამოავლინა და მხოლოდ ექვსჯერ აილო მეტოქის კარი. ზაპოროჟიელები, განსაკუთრებით გამოცდილი ვეტერანი, ორმეტრიანი კუშნირიუკი, ადვილად გადიოდნენ სატყორცნ პოზიციებზე. ჩელიაბინსკის ტურზე ჩამოსულმა ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი ევტუშენკომ სამართლიანად შენიშნა, რომ თბილისელთა დაცვა ნაკლებად მოძრაობდა, უყურადღებოდ თამაშობდა და თავისი „ციხე-სიმაგრის" მისადგომებთან მეტოქისთვის ხელსაყრელ „დერეფანს" ტოვებდა. კუშნირიუკმა და ზუბკოვმა მატჩის დასაწყისში ორჯერ დააწინაურეს თავისი გუნდი (საპასუხო გოლები გაიტანა ტაბიძემ), რომელსაც ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან ინიციატივა. თუმცა შეხვედრის (პირველი ტაიმი წავაგეთ 10:12) მეორე ნახევრის დასაწყისისთვის სხვაობა მინიმალური იყო (12:13), ჩვენმა გუნდმა მატჩი წააგო ანგარიშით 19:26.

დღეს თბილისელთა მეტოქეა ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი ცსკა, რომელიც მხოლოდ ქულით ჩამორჩება შარშანდელ ჩემპიონსა და მიმდინარე გათამაშების ლიდერს — მინსკის ასკ-ს (25 ქულა). გაეცანით ჩვენი გუნდის დანარჩენ შეხვედრათა კალენდარს: 29 აპრილი — ლვოვის ასკ, 1 მაისი — ლენინგრადის „ნევა", 2 მაისი — ჩელიაბინსკის „პოლიოტი", 3 მაისი — კრასნოდარის სკიფი.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

**ოთარ ნოწაძე,**
**(ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).**

ჩელიაბინსკი.

---

### ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# განახლებული შემადგენლობით

### ლერი ხაბელოვმა და დავით გობეჯიშვილმა პირველი შეხვედრები მოიგეს

**ლაიფციგი, 27 აპრილი.** „მესეპალეს" დარბაზში „კლასიკოსები" თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შეცვალეს. ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა გუნდი განახლებული შემადგენლობით ასპარეზობს. ექვსი მოჭიდავე ამ რანგის ტურნირში საერთოდ პირველად გამოდის.

პირველ წრეში საბჭოთა ათლეტების წარმატებას ტონი ნაკრების ყველაზე ტიტულოვანმა წევრმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ტაშკენტელმა არსენ ფაძაევმა (68 კგ) მისცა. მან ესპანელი ხუან ხუტერესი დაამარცხა.

საბჭოთა გუნდში, როგორც ცნობილია, ორი თბილისელი მოჭიდავეც — ლერი ხაბელოვი (100 კგ) და დავით გობეჯიშვილი (მძიმე წონა) — ასპარეზობს. პირველი ბრძოლა ორივემ მოიგო. ლერი ხაბელოვმა აშკარა უპირატესობით სძლია პაირი ზეჯინს (თურქეთი), გობეჯიშვილმა კი რუმინელი ანდრეი იანო დაამარცხა.

მათთან ერთად პირველი შეხვედრები მოიგეს ნოვოსიბირსკელმა ალექსანდრე კირკესნერმა (52 კგ) — პოლონელ პეტრე მროპემთან, კრასნოიარსკელმა სერგეი ბელოგლაზოვმა (62 კგ) — უნგრელ იოჟეფ ორბანისთან, დნეპროპეტროვსკელმა ანატოლი პალამარიოვმა (74 კგ) — ბელგიელ ანდრე ვერპოლატთან, მოსკოველმა იური ვოროზიოვმა (82 კგ) — უნგრელ ლასლო დვორაკთან, ოდესელმა რობერტ ტიბილოვმა (90 კგ) — ავსტრიელ ედვინ ლინცთან. დანარჩენი ჩვენი მოჭიდავეები პირველ წრეში ისვენებდნენ.

შეჯიბრება 28 აპრილს დამთავრდება.

---

48 | საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

გთავაზობთ სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 24 და 25 აპრილს ჩატარებული 2 მატჩის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„შახტიორი" — „დნეპრი" 1:1 (1:0).** პირველი ბურთი დონეცკელმა სოკოლოვსკიმ გაიტანა 11-მეტრიანით, მე-60 წუთზე ანგარიში გაათანაბრა პროტასოვმა.

**„დინამო" (მინსკი) — „არარატი" 3:2 (1:1).** ერევნელები ამ მატჩში ორჯერ იყვნენ წინ (ა. ყარაპეტიანი, სააკიანი), მასპინძლებმა ორჯერვე გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი სოკოლმა ზუსტად გაიტანა 11-მეტრიანი ერევნელთა კარში.

გააფრთხილეს „არარატის" მოთამაშე სააკიანი.

### I ლიგა

**26 აპრილს გაიმართა I ლიგის საკავშირო გათამაშების V ტურის კალენდარული შეხვედრები. ლიგის დასავლეთ ზონაში საქართველოს გუნდებმა — ბათუმის „დინამომ" და ლანჩხუთის „გურიამ" საკუთარ სტადიონებზე ითამაშეს და ორივემ გაიმარჯვა.**

ბათუმის დინამოელებმა მიიღეს ლვოვის ასკ „კარპატი". მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა და მინდორი ატალახებული იყო, ბათუმელებმა თავიდანვე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და მეტოქე აიძულეს თავი დაეცვა.

27-ე წუთზე შელია კარგად გაერკვა რთულ ვითარებაში და ანგარიში გახსნა. დინამოელები შესვენების შემდეგაც დაულალავად უტევდნენ, 56-ე წუთზე ქვანიამ მეორედ აილო მეტოქის კარი.

ლვოველებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს გარღვევა შეეტანათ თამაშში. ბრძოლაში ჩაება „დინამოს" მეკარე მამინაშვილი, მაგრამ მაქსიმუმი, რაც სტუმრებმა შეძლეს, იყო 77-ე წუთზე გატანილი ერთადერთი საპასუხო გოლი.

ბათუმელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. მათ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **მამინაშვილი, დანელია, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, ქვანია, ბაბუნიძე, შელია, გორგილაძე (ჩელებაძე), ესებუა.**

ასეთსავე წვიმიან ამინდში შედგა ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრა კიშინიოვის „ნისტრუსთან". აქ მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ბურთი მე-15 წუთზე გაიტანა ტყებუჩავამ. ეს მოხდა მაშინ, როცა გარღვევაზე მყოფი უგრელიძის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა „ნისტრუს" ერთ-ერთმა მცველმა და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა.

შესვენების შემდეგ კიშინიოველები გააქტიურდნენ. მასპინძლებმა ერთხანს შეასუსტეს იერიშები და რამდენიმე სახიფათო მომენტი მათ კართანაც შეიქმნა, მაგრამ 68-ე წუთზე ტყებუჩავას მიერ მოწოდებული ბურთი უგრელიძემ თავით გაგზავნა მეტოქის კარში — 2:0.

მეორე ტაიმში, სწრაფად განხორციელებული მანევრის შედეგად კოპალეიშვილი პირისპირ დარჩა „ნისტრუს" მეკარე კუროჩკინთან და კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება — 3:0.

„გურიის" შემადგენლობა: მჭედლიძე, კონდრატიევი, მელიქია, ვერულაშვილი, თევზაძე, კოპალეიშვილი, სიჭინავა (სანიკიძე), ტყებუჩავა, ჩხაიძე, ებანოიძე, უგრელიძე.

მოგვყავს ლიგაში 26 აპრილს ჩატარებულ სხვა შეხვედრათა შედეგები:

**დასავლეთი ზონა.** „დინამო" (სტავროპოლი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 2:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 3:0, „დაუგავა" (რიგა) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 3:0.

**ალმოსავლეთი ზონა.** „ზვეზდა" (ჯიზაკი) — „კუზბასი" (კემეროვო) 4:3, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — ასკ (ხაბაროვსკი) 3:0, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:0, „პამირი" (დუშანბე) — ცსკა 1:0.

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 28 აპრილისთვის**

#### დასავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" ბ. | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| „დაუგავა" | 5 | 2 | 2 | 1 | 6-1 | 6 |
| „კოლოსი" | 5 | 2 | 2 | 1 | 4-5 | 6 |
| „კოტაიკი" | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 5 |
| „გურია" | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 5 |
| „ნისტრუ" | 4 | 2 | 1 | 1 | 3-4 | 5 |
| „დინამო" სტ. | 4 | 1 | 2 | 1 | 2-1 | 4 |
| „მეტალურგი" | 4 | 1 | 2 | 1 | 1-1 | 4 |
| „ყუბანი" | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 3 |
| ასკ „კარპატი" | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| „სპარტაკი" | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 2 |

#### ალმოსავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 8 |
| „შინიკი" | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 7 |
| „პამირი" | 5 | 2 | 2 | 1 | 3-3 | 6 |
| „კუზბასი" | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 5 |
| „ლოკომოტივი" | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 5 |
| ასკ ხ. | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 5 |
| „კრ. სოვეტ." | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 4 |
| „ზვეზდა" | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 4 |
| „როტორი" | 4 | 0 | 4 | 0 | 2-2 | 4 |
| ცსკა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| „ისკრა" | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

საქართველოს გუნდები 29 აპრილს კვლავ საკუთარ მინდვრებზე ითამაშებენ: „გურია" მიიღებს ლვოვის ასკ „კარპატის", ხოლო ბათუმელები — კიშინიოვის „ნისტრუს".

---



# მისი მწვერვალი

**...აუდიტორიაში შემოდის ლექტორი. სტუდენტები ფეხზე დგებიან. ლექტორი ესალმება მათ, მერე მერხებს შორის გაივლის და პირველკურსელებთან ფიზიკისა და მათემატიკის ფორმულებით იწყებს საუბარს. იგი ძალზე ახალგაზრდა, ნიჭიერი ფიზიკოსია. მან იცის, რომ პირველკურსელებს ფიზიკის ამოცანების ამოხსნა და კლასიკური მექანიკის საფუძვლები უნდა შეასწავლოს, ეს არც ისე იოლი საქმეა... ახალგაზრდა ლექტორი სწრაფად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, ლამაზად გამოჰყავს ფორმულები, სხარტად აზროვნებს და ისე შეუბოჭავად ირჯება, თითქოს ამოდენა აუდიტორიას კი არა, მხოლოდ საკუთარ თავს ესაუბრებოდეს... კონტაქტი თითქოს თავისთავად მყარდება.**
**ა, დამთავრდა პირველი სემესტრი... იწყება კონსულტაციები, შემდეგ კი ძალზე მკაცრი, უშეღავათო გამოცდები. უშეღავათო, რადგან დევიმ იცის, რომ გამოცდაზეც რაღაცა უნდა ისწავლოს სტუდენტმა...**

ეს სტრიქონები გარდასულ დღეებზე იწერება, დევი თარხნიშვილი დღეს ჩვენს შორის აღარ არის. ძნელია წერა კაცზე, ვინც ყოველთვის საგულდაგულოდ მალავდა თავის გრძნობებს, სიტყვაძუნწი იყო და არ უყვარდა, როცა აქებდნენ. დევი ძნელად თუ დაუახლოვდებოდა ვინმეს. ერთი შეხედვით გოროზი, უკარება ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ მისმა ახლობლებმა და მეგობრებმა კარგად იცოდნენ, სინამდვილეში არაჩვეულებრივად გულისხმიერი და მგრძნობიარე რომ იყო...

...უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის პირველი მსმენელი ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი, შემდეგ კი უნივერსიტეტის ლექტორი გახდა. დევი იყო მაღალი რანგის მთამსვლელი, ფოტოხელოვნებაშიც ბევრს მიაღწია. ძნელია იმის თქმა, სად უფრო ძლიერი იყო დევი — მთაში, მწვერვალებთან ჭიდილის დროსა თუ უნივერსიტეტის აუდიტორიაში დაფასთან მდგარი.

მე კი ის მაინც უნივერსიტეტის მეორე კორპუსის დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მომავალი დამამახსოვრდა, მომღიმარი, ეშმაკურად მოციმციმე თვალებით. ხელს გადაგხვევდა, მოგიკითხავდა, გაგეხუმრებოდა...

ერთ წელს პამირის მთებში ჯგუფი, რომელშიც დევი თარხნიშვილიც იყო, იერიშს ამთავრებდა მწვერვალის დასაპყრობად, ამ დროს სივრცე წითელმა მაშხალამ გააპობ. ჩანდა, მთამსვლელთა რომელიღაც ჯგუფს ყინულიანი მთების იდუმალი სამყარო დაღუპვას უქადდა. მოიერიშე ჯგუფმა მაშინვე შეწყვიტა წინსვლა და სწრაფად იწყო დაშვება იმ ადგილისკენ, სადაც განსაცდელში მყოფი მთამსვლელები ეგულებოდა. ამ შემთხვევამ საკავშირო გაზეთებიც აალაპარაკა. მსაჯთა კოლეგიამ ჯგუფის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალი არ აუღიათ, ამგვარი მამაცობისთვის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონის ოქროს მედლებით დააჯილდოვა. დევის სიტყვაც არ დასცდენია ამის თაობაზე...

...დევი თარხნიშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ალპინიზმის საერთაშორისო ბანაკებში ინსტრუქტორად. განხორციელებული აქვს ასვლები პამირის, ტიან-შანისა და კავკასიონის უმაღლესი სირთულის კატეგორიის მწვერვალებზე: უშბასა და მხელდაზე, კომუნიზმისა და კორჟენევსკაიას პიკებზე. სამჯერ გახდა საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი. პირველად მაშინ, როცა ტექნიკური ასვლების კლასში სპორტსაზოგადოება „განთიადის" ჯგუფთან ერთად კურ-კიუ-რტლუს კედელზე ავიდა. მერე — ჰაუხების მასივის მწვერვალ დავით ალმაშენებლის ჩრდილოეთ კედლის დალაშქვრისთვის, ხოლო მესამედ — პამირის ურთულესი მწვერვალის „6100"-ის აღმოსავლეთი კედლის დაძლევისათვის.

დევი იყო ჭეშმარიტი მოქალაქე და პატრიოტი, ფრიად განათლებული პიროვნება.

მის საწერ მაგიდას ახლაც მინდვრის თვალჭიტა ყვავილები ამშვენებს — ეს სიმბოლურია. იქვეა ფოტოსურათი, საიდანაც სამი განუყრელი მეგობარი შემოგვცქერის: დავით ბაქანიძე, ვიქტორ რიბინსკი და დევი თარხნიშვილი — სამივე ფიზიკოსი. სამივე სხვადასხვა დროს მთებთან ჭიდილში დაიღუპა.

ვიწრო ჩარჩოში ვეება უშბა მოქცეულა. დღეს ესეც სიმბოლურად აღიქმება — დევიმ ხომ სწორედ უშბას — ამაყსა და პატივმოყვარეს, მწვერვალებიდან განცალკევებულსა და გულჩათხრობილს გაუმჟღავნა თავისი გრძნობები, მხოლოდ მას გაანდო თავისი ხვაშიადი...

**ლილი გვარჯალაძე.**

---

# ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება

**კლასიკური ჭიდაობა**

**ზაპოროჟიეში** გამართულ ყრუთა საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. ოქროს მედალი მოიპოვა რამინ ფოლადაშვილმა (82 კგ), რომელმაც ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. აღსანიშნავია, რომ ეს ფოლადაშვილის მეშვიდე გამარჯვებაა ყრუთა საკავშირო ჩემპიონატში. მეორე ადგილზე გავიდა ზაურ ალბოროვი (48), მესამეზე — ვლადიმერ პლიევი (74).



## დოკუმენტური ფილმი ეროვნულ სპორტულ თამაშზე

# „ლელოს შემობრუნება" მაისში

ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა: „ევროპული ერები ერთმანეთისგან სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომლებიც დავიწყებული არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალ ფერადს შეიტანას ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზეს და სიჯანსაღეს დაუბრუნებს".

სწორი აზრი გახლავთ. ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობა ჩვენი უპირველესი ვალია და საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიამ ფილმით „ლელოს შემობრუნება" ღირსეულად მოიხადა ეს ვალი. ახალი ამ დოკუმენტურ კინოფილმში, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, მაგრამ დავიწყებული ეროვნული სპორტული თამაშის გახსენება, თავისთავად მისი აღდგენის ცდა იყო და ამისათვის სტუდიასთან ერთად მთელი გადამღები ჯგუფი მადლობას იმსახურებს.

ლელოს აქა-იქ დღესაც ჰყავს გულშემატკივრები და ქომაგები (სამწუხაროდ, მხოლოდ აქა-იქ). მათთვის ყველაზე სასიხარულო დრო გაზაფხულია — „ლელოს შემობრუნების" პერიოდი. ლანჩხუთში ყოველი წლის პირველ მაისს ლელობურთის დიდი დღესასწაული ეწყობა, დღესასწაული, რომელმაც ჩვენს სხეულს ადრინდელი სილამაზე და სიჯანსაღე უნდა დაუბრუნოს... ეს დოკუმენტური ფილმიც სწორედ ამაზე მოგვითხრობს.



კადრები ფილმიდან „ლელოს შემობრუნება": ლელობურთის ზეიმი ლანჩხუთში; აი, ასე იკერება ბურთი ყოველი თამაშის წინ.

**ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდები ხშირად ხვდებიან იუგოსლავიის კლუბებს. ამიტომ ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება წერილი ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელის სუშიჩის შესახებ.**

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# სუშიჩი: „არ მიყვარს ხეტიალი"

ბედმა ინება, რომ სუშიჩს ფეხბურთის სამყაროში სახელი გაეთქვა არა მარტო როგორც ძლიერ მოთამაშეს, არამედ როგორც პარადოქსული ხასიათის კაცსაც. სუშიჩზე, მაგალითად, ამბობენ, რომ მისი შესაძლებლობები ვანუსაზღვრელია, რომ მას შეუძლია მწვანე მინდორზე სასწაული ჩაიდინოს, მაგრამ ზოგჯერ იგი მეორე დივიზიონის ფეხბურთელივით თამაშობს. მუდამ ძნელი გადასაწყვეტია ნაკრებში მისი მიწვევის საკითხი: არ მიიწვიონ, არ შეიძლება — სუშიჩი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და გოლის გატანის იშვიათი ალღო აქვს, მიიწვევენ და, კაცმა არ იცის, მთელი ძალით ითამაშებს თუ არა. სხვათა შორის, ეს პრობლემა აღელვებს არა მარტო იუგოსლავიის ნაკრებს, არამედ უცხოეთის გუნდებსაც, სადაც სუშიჩი თამაშობს.

ვინ არის სუშიჩი? რა პრინციპებით ცხოვრობს? აქვს თუ არა საერთოდ პრინციპები? — ეს კითხვები დაგვებადა არა ჩვენ, არამედ იუგოსლავიისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ფეხბურთის სპეციალისტებს.

...1982 წლის გაზაფხულზე სუშიჩმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ჯერ მილანის „ინტერნაციონალესთან", ხოლო შემდეგ — „ტორინოსთან". ეს თითქმის ერთდროულად მოხდა, სუშიჩმა ორ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი. როცა ბოლოს და ბოლოს ეს უცნაური საქციელი გამოაშკარავდა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სუშიჩს განმარტება მოსთხოვა, მან სავსებით სერიოზულად უპასუხა: მე სამოყვარულო ფეხბურთში ვთამაშობდი და თქვენი პროფესიული სპორტის კანონებისა ბევრი არაფერი გამეგებაო. ასე გაუქმდა სუშიჩის კონტრაქტი ორ იტალიურ კლუბთან, ხოლო თვით ფეხბურთელს ამ ქვეყნის პრესამ ორი კურდღლის მდევარი უწოდა. მერე სუშიჩის დაყოლიება სცადეს დასავლეთგერმანულმა კლუბებმა, მაგრამ ფინანსური მიზეზის გამო ამ მოლაპარაკებებს წარმატება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, როგორც უცხოური პრესა წერს, მღვრიე წყალში თევზის დაჭერა მოახერხა საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენის" კლუბის პრეზიდენტმა ფრანსის ბორელმა. მან უყოყმანოდ გაიღო თანხა, რასაც სუშიჩი მოითხოვდა. სხვათა შორის, კლუბის პრეზიდენტს იუგოსლაველი ფეხბურთელის თამაში თვითონ არ ენახა, — მხოლოდ „ინტერნაციონალეს", „ტორინოს", „რომას", „ჰამბურგისა" და „ლივერპულის" მესვეურთა რჩევას ენდო. როგორც დასავლეთგერმანული „კიკერი" წერს, მათ ბორელს უთხრეს, სუშიჩი ფეხბურთელი კი არა, ღმერთიაო.

ასე იყო თუ ისე, 1982 წლის 5 დეკემბერს სუშიჩი „პარი სენ-ჟერმენის" ღირსების დასაცავად გამოვიდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთ მატჩში. პარიზში გამართული შეხვედრის 42-ე წუთზე მან ოსტატურად ჩაჭრა მეტოქეთა მცველის პასი და „კიოლნის" კარში გამარჯვების მაუწყებელი გოლი გაიტანა. რა თქმა უნდა, ამ გოლმა მას კიდევ უფრო გაუთქვა სახელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ სუშიჩი რისი სუშიჩია, თუ საქმე მშვიდობიანად დაამთავრა. მეორე დღეს გამარჯვებულ გუნდს ახალი საფეხბურთო სეზონის წინ ჯგუფური ფოტო უნდა გადაეღო ჟურნალისათვის. გუნდის ყველა ძირითადი მოთამაშე სურათზე ერთად იყო აღბეჭდილი, მხოლოდ ერთი იდგა განზე, თანაც სპორტული ფორმა კი არ ეცვა, არამედ ჩვეულებრივი, საყოველდღეო ტანსაცმელი. ალბათ მიხვდით, რომ ეს მოთამაშე სუშიჩი იყო. ეს კიდევ არაფერი. საღამოს იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციიდან კლუბში დეპეშა მოვიდა: „ვინაიდან ჯერ 28 წელი არ შესრულებია, სუშიჩს სხვა ქვეყანაში თამაშის უფლება არა აქვს". ეს მოთხოვნა მუდამ პუნქტუალურად როდი სრულდება, მაგრამ სუშიჩი, პრესის აზრით, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში სუსტი თამაშისათვის დაისაჯა. ასე რომ, მან „პარი სენ-ჟერმენში" მხოლოდ 90 წუთს მოასწრო თამაში, ამის შემდეგ კი იძულებული გახდა თითქმის ნახევარი წელი ოცნებებში გაეტარებინა. ეს მკაცრი სასჯელი გახლდათ 1955 წლის 14 მარტს დაბადებული ფეხბურთელისთვის.

სუშიჩი დაიბადა პატარა დაბა ზავიდოვიჩში, სარაევოს მახლობლად. ფეხბურთის თამაში გვიან, ცამეტი წლისამ დაიწყო. თვრამეტისა რომ გახდა, იუგოსლავიის ცნობილ კლუბში — „სარაევოში" მიიწვიეს. „იმ პერიოდში მე ალბათ უკვე მქონდა მაღალი კლასის ფეხბურთელისთვის აუცილებელი ტექნიკური მონაცემები, — ამბობს, სუშიჩი,—მაგრამ ფეხბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, უწინარეს ყოვლისა უნდა შეგამჩნიონ და გამოგარჩიონ". სუშიჩი კარგად თამაშობდა, მაგრამ ევროპის მასშტაბით პოპულარობა უეფა-ს თასის გათამაშებაში ორგზის მონაწილეობამაც კი ვერ მოუტანა (იგი „სარაევოს" შემადგენლობაში თამაშობდა).

საერთოდ, მართალი უნდა იყოს ფრანსის ბორელი, რომელმაც სუშიჩის დოსიეს გულისყურით შესწავლისა და მასზე დაწვრილებითი ინფორმაციის შეკრების შემდეგ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: „სუშიჩი სუპერფეხბურთელია, მაგრამ მთელი თავისი კარიერის მანძილზე უჭირს ისეთი ხალხის მოძებნა, ვისაც ბოლომდე სჯერათ მისი".

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ ურჩ ფეხბურთელს 1983 წლის იანვრიდან მაინც მისცა „თავისუფლება". მაგრამ ეს ვადა ხელს არ აძლევდა ფრანგულ კლუბს. ბორელი ცდილობდა გადაწყვეტილების მიღება როგორმე 15 დეკემბრისთვის გადმოეწია, რათა სუშიჩს უეფა-ს თასის მეოთხედფინალურ მატჩში ეთამაშა. დიდი ბრძოლის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო და უეფა-მაც დაუდასტურა, რომ სუშიჩს შეუძლია „პარი სენ-ჟერმენის" შემადგენლობაში გამოვიდეს. მაგრამ ამ ორომტრიალში ბორელს დაავიწყდა, რომ საქმე აქვს არა მარტო იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციასთან და უეფა-სთან, არამედ — უცნაურობით ცნობილ სუშიჩთანაც. 16 დეკემბერს სუშიჩი პარიზში უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ მას ამაოდ ელოდნენ კლუბის წარმომადგენლები. ფეხბურთელისგან მიიღეს დეპეშა: „თვითმფრინავზე დამაგვიანდა, მელოდეთ ერთი დღის შემდეგ".

სუშიჩი უნიჭიერესი ფეხბურთელია, თორემ ამდენს არავინ აპატიებდა. მინდორზე იგი მკვეთრად გამოირჩევა პარტნიორებისაგან, ხშირად არ ეთანხმება და ზოგჯერ თვითნებურადაც კი ცვლის მწვრთნელის მიერ შეთავაზებულ გეგმას. დაუფარავი სიამაყით ამბობს: თამაშის მანერას ვერავინ შემაცვლევინებსო.

ახლა შემოგთავაზებთ კომენტარებს, რომლებიც „ეკიპის" კომენტატორმა დაურთო სუშიჩის მონაწილეობით გამართულ და ვიდეოზე გადაღებულ ორ მატჩს. „სენტ-ეტიენთან" შეხვედრაში სუშიჩმა ორმოცდაორჯერ დაიმორჩილა ბურთი, ათჯერ დაკარგა, 11-ჯერ გამოუვიდა დრიბლინგი; გააკეთა 23 პასი, 7-ჯერ ჩააწოდა კარის გასწვრივ და 2-ჯერ დაარტყა კარში, 11-ჯერ აართვა ბურთი მეტოქეს". აი, მეორე კომენტარი იმის შესახებ, თუ როგორ ითამაშა სუშიჩმა ფრანგულ კლუბ „ბრესტთან": „49-ჯერ დაიმორჩილა ბურთი, 19-ჯერ დაკარგა, 22-ჯერ გამოუვიდა დრიბლინგი, გააკეთა 22 პასი, 7-ჯერ ჩააწოდა და ერთხელ დაარტყა კარში, 5-ჯერ აართვა მეტოქეს ბურთი".

ამ „ბულალტერიის" შესახებ აზრი გამოთქვა თვით სუშიჩმაც: „ჩემზე ამბობენ, თითქოს საფრანგეთში ბურთი ნაკლებად მემორჩილება, ვიდრე იუგოსლავიაში. რას ვფიქრობ ამაზე? — ილაპარაკონ, რაც უნდათ, ან ჩემზე ძლიერი ფეხბურთელი მოძებნონ".

სულ ბოლოს სუშიჩმა მაშინ გაამხიარულა ევროპის ფეხბურთის სამყარო, როცა. რამდენიმე შესანიშნავად ჩატარებული მატჩის შემდეგ ერთდროულად ექვსი იტალიური კლუბი შეუჩნდა, ჩვენთან გადმოდიო. ამაზე სუშიჩმა თქვა: „მართალი გითხრათ, არ მიყვარს აქეთ-იქით ხეტიალი".

ამას ამბობს ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად ორ კლუბთან გააფორმოს კონტრაქტი და გამუდმებით ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლაზე უჭრავს თვალი.

### ეკრანსა და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** **28 აპრილი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.30** (2); „სპორტლოტოს" ტირაჟები — **10.20** (1); კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი" — **15.05** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო" (მოსკოვი) — ასკ (დონის როსტოვი) — **18.00** (2); მეგობრული არმიების X ზამთრის სპარტაკიადის შეჯიბრებათა შესახებ — **20.30** (2); ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში — **21.20** (2); საფეხბურთო მიმოხილვა — **22.35** (1).

**საკავშირო რადიო.** **28 აპრილი.** სპორტული დღიური — **23.40.**

**საქართველოს ტელევიზია.** **28 აპრილი.** ევროპის სტადიონებზე — **19.15**; საფეხბურთო მიმოხილვა — **22.35.**

**საქართველოს რადიო.** **28 აპრილი.** სპორტის მოყვარულთათვის — **13.30**; რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30.**

**სპორტსაზოგადოება** „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ 1985 წლის 29 აპრილს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის ცენტრალური ლოჟის დარბაზში გაიმართება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ომის მონაწილე დინამოელი ვეტერანები.

### შეცდომის გასწორება

„ლელოს" 27 აპრილის ნომერში დაბეჭდილ მასალაში „მთავრობის ჯილდოები — ღირსეულთ" გაიპარა შეცდომა. **მაია გრიგოლის ასული ჩიბურდანიძე დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის და არა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით**, როგორც ეს აღნიშნულია გაზეთში. რედაქცია ამ შეცდომისათვის ბოდიშს უხდის მკითხველებს.

რედაქტორი ა. გოგელია.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

6 მაისი ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი ● უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 29-30 აპრილს, ხოლო სტადიონის სალაროებში (შეფარდებით ერთი-ერთზე) — 29 აპრილიდან.

აბონემენტის მფლობელებზე ლატარიის ბილეთები გაიყიდება 5 მაისის ჩათვლით № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო (29 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით). სალაროები ღიაა 10-დან — 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათზე).

5 მაისს გაიმართება ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

**უამინდობის შემთხვევაში დუბლიორთა შეხვედრა შედგება გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. № 14**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52**
**წერილების განყოფილება — 93-97-55**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53**
**„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26**

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უშ 06055